კახაბერ დემეტრაშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები და საქართველო XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში

რეზიუმე

1578-1590 წლებში მიმდინარეობდა ოსმალეთ-ირანის ომი, რომელშიც, თავდაპირველად, ოსმალთა უპირატესობა გამოიკვეთა. გართულებულმა სიტუაციამ აიძულა ირანის სახელმწიფოს მესვეურები, მოკავშირე მოეძებნათ. მათ გაითვალისწინეს ოსმალეთის მიმართ მოსკოვის სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მეტოქეობით და არჩევანი მასზე შეაჩერეს. 1586 წელს ირანიდან მოსკოვის სახელმწიფოში გაიგზავნა ელჩობა, რომლის მეშვეობით შაჰი რუსთა მეფეს, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, კასპიის ზღვის ორ მნიშვნელოვან სტრატეგიულ საპორტო ქალაქს - ბაქოსა და დარუბანდს სთავაზობდა. რუსთა სახელმწიფოს სამეფო კარზე ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა შაჰის ეს შემოთავაზება და მათ საპასუხო ელჩობა გააგზავნეს ირანში. გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ინტერესებს სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც ემთხვეოდა.

1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. ამ ზავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მოსკოვის სახელმწიფოში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამის გამო დროებით შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის. ამ ზავით მიღებული შესვენება ირანის შაჰმა აბას I-მა (1587-1629) გამოიყენა საშინაო საქმეების მოგვარებით, რომელთა შორის დიდი მნიშვნელობა დაეთმო ირანის სახელმწიფოში აჯანყებების ჩაქრობასა და არმიის გაძლიერებას. 1592-1593 წლებში მოსკოვის სახელმწიფოში კვლავ დაისვა სეფიანთა ირანთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის საკითხი. ამიტომაც, კვლავ განახლდა ელჩების მომოსვლა ამ სახელმწიფოებს შორის.

XVI საუკუნის 90-იან წლებში ევროპის ქვეყნებში შემუშავდა ანტიოსმალური კოალიციის პროექტი. მათ მოინდომეს საქართველოსა და ირანის ჩაბმა ამ კოალიციაში, რომელთა მონარქები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას.

რაც შეეხება მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობას, ის შემდეგ საუკუნეშიც გაგრძელდა, რომელთა ურთიერთობაში კავკასიისა და, მათ შორის, საქართველოს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო.

საკვანძო სიტყვები: *სეფიანთა ირანი, მოსკოვის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია, კახეთის სამეფო, ქართლის სამეფო, ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მაგისტრალი*

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია, აღნიშნულ პერიოდში, სეფიანთა ირანსა (სპარსეთსა) და მოსკოვის სახელმწიფოს (რუსეთს) შორის დიპლომატიური ურთიერთობათა წინა პლანზე წარმოჩენა და იმ მნიშვნელობის შეფასება, თუ რა ადგილი ეკავა საქართველოს ამ ურთიერთობათა ფონზე. აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მოკლედ მიმოგვეხილა ახლო აღმოსავლეთის, როგორც ხსენებული ხანის, ასევე, მისი წინა პერიოდის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის მუდმივ სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთკავშირი სამეცნიერო ლიტერატურაში პერიოდებად იყოფა: პირველი - 1586-1590 წლები, როდესაც, ირანის ინიციატივით, თავად ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის მუდმივი სავაჭრო-დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. შემდეგი პერიოდი - (1591-1594) მათი ურთიერთობის შეწყვეტის პერიოდია, როდესაც ირან-ოსმალეთის ზავით უკმაყოფილო მოსკოვის სახელმწიფომ შეწყვიტა ირანთან დიპლომატიური კავშირი. მესამე პერიოდად ითვლება 1594-1604 წლები. ეს ის დროა, როდესაც მოსკოვის სახელმწიფომ განაახლა ირანთან შეწყვეტილი ურთიერთობა და შეეცადა ის სეფიანთა სახელმწიფოსთან შეეკრა სამხედრო კავშირი საერთო მტრის - ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. მეოთხე პერიოდია (1604-1612) მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე ჩამოგდებული სიმშვიდე. იმხანად, მოსკოვის სახელმწიფოში აღინიშნებოდა გლეხთა ომები და რიგი ქვეყნების ინტერვენცია. [1] შემდეგი პერიოდი (1613-1616) მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის ხანაა, ხოლო მომდევნო (1615-1617) კი - ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებისა. შემდგომი პერიოდი (1617-1620) ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთმოლაპარაკების პერიოდია, რა დროსაც ევროპულ სახელმწიფოებთან ომში ჩაბმული მოსკოვის სახელმწიფო ფულად დახმარებას საჭიროებდა და მისმა მესვეურებმა ფულის სესხების თხოვნით მიმართეს სეფიანთა ირანის უმაღლეს ხელისუფალს. შემდეგი პერიოდი ეხება ამ ორი სახელმწიფოს შორის არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიასთან და მათ შორის საქართველოსთან. [2]

მრავალი ათწლეულის განმავლობაში ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი ცდილობდნენ კავკასიაში გაბატონებას. ეს ტერიტორია ხშირად გამხდარა მათი ბრძოლების ეპიცენტრი. XVI საუკუნეში მათი ურთიერთდაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. XVI საუკუნიდან მსგავსი ინტერესით გამოვიდა მომძლავრებული მოსკოვის სახელმწიფო (რუსეთი), რომლის მზარდი ცენტრალიზებული მმართველობის საგარეო პოლიტიკის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დადგა კასპიის ზღვაზე გასვლის საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტის საბაბით მან დაიპყრო 1552 წელს ყაზანი და 1556 წელს ასტრახანი. კასპიის ზღვაზე გასვლას მოსკოვის სახელმწიფოსთვის ის

[1] Петр П. Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. (Москва: Наука, 1976), 440-444, 477-478.

[2] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг. (Москва: Наука, 1987), 13, 121, 142, 280.

მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამით ის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებას უკეთ შეძლებდა.[3]

XVI საუკუნის შუა წლებიდან, როცა ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მაგისტრალმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ამ სამი ძლიერი სახელმწიფოს მეტოქეობა კავკასიისა და განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილის ხელში ჩასაგდებად კიდევ უფრო გამწვავდა. სწორედ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გადიოდა ის უმოკლესი გზა, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ევროპის სახელმწიფოებს დაკავშირებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს, სახანოებსა თუ რიგ პოლიტიკურ ერთეულებს. მოსკოვის სახელმწიფოს გავლით ევროპაში გაჰქონდათ ირანისა და შირვანის აბრეშუმი, აღმოსავლეთის ქვეყნების სანელებლები და სხვადასხვა პროდუქტები, რაც ამ სახელმწიფოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, დიდი მოგებას აძლევდა.

მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთისაკენ წინსვლას უარყოფითად შეხვდნენ ოსმალეთის იმპერიისა და სეფიანთა ირანის პოლიტიკურ წრეებში. ხსენებულ სავაჭრო-სანაოსნო მარშრუტზე გაბატონების გარდა რუსთა სახელმწიფოს კავკასიაში გაბატონების შანსი იმითაც ეზრდებოდა, რომ დამპყრობელი ოსმალებისა და ირანელების წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიელი და მათ შორის ქართველი ხალხი მას მხსნელად მიიჩნევდა. XVI საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ტომის ბელადი, გარეშე მტრისა და მეზობლისაგან შევიწროებული, ოსმალებსა და ყირიმელებში ეძებდა მფარველებს. ზოგსაც ოსმალები თავიანთ ხელისუფლებას ძალით ახვევდნენ თავს. სწორედ ძალით დაპყრობილი ხალხი იბრძოდა მათ წინააღმდეგ და სხვა, ახალ მფარველს ეძებდა.[4] XVI საუკუნის შუა წლებში ასეთ მხსნელად ესახებოდათ მათ მოსკოვის სახელმწიფო. 1557 წელს ამ უკანასკნელს ყაბარდო შეუერთდა. გარდა ჩრდილოეთ კავკასიისა, სამხრეთ კავკასიის ხალხებიც მოსკოვისაკენ ილტვოდნენ. 1563 წელს კახეთის მეფე ლევანმა (1518-1574) მოსკოვში დახმარების სათხოვნელად ელჩები გაგზავნა. პასუხად სამხედრო გარნიზონი გამოაგზავნეს, რომელიც მეფე ლევანმა კახეთის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა. მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლებამ კავკასიასა და ვოლგისპირეთში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ქმედით ღონისძიებებს მიმართა. 1567 წელს მეფე ივანე IV-მ (1533-1547 წლებში დიდი მთავარი, 1547-1584 წლებში მეფე) მდ. სუნჯისა და თერგის შესართავის ახლოს ციხესიმაგრე ააგებინა.[5] ამავე მიზნით, უფრო მოგვიანებით, მეფე ბორის გოდუნოვის (1598-1605) ინიციატივით, XVI საუკუნის ბოლოს, მდ. ვოლგის მაგისტრალსა და ტრამალების ადგილას აშენდა ქალაქები: სამარა, სარატოვი, ცარიცინი, ბელგოროდი და სხვა. ქ. ასტრახანი კი 1558 წელს საგულდაგულოდ გაამაგრეს და იქ ქვის კედელი აღმართეს.[6]

---

[3] თამარ ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, თსუ-ს შრომები, ტომი 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია V (1965): 176.

[4] ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I (1944): 12.

[5] ნიკოლოზ ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1958), 279-280; ნანა გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI ს.) (თბილისი:მეცნიერება“, 1995), 113.

[6] იასე ცინცაძე, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1968), 123; Михаил Н.Тихомиров, Российское государство XV-XVII веков (Москва: Наука, 1973), 39.

ოსმალეთის ხელისუფლება, რომელიც კარგად გრძნობდა, რომ სულ მალე მოსკოვის სახელმწიფოს სახით ირანზე არანაკლები მეტოქე გამოუჩნდებოდა, რუსთა წინააღმდეგ მოქმედებებს შეუდგა. მისი უპირველესი ამოცანა იყო ასტრახანის, როგორც სავაჭრო-ეკონონიკური მნიშვნელობის ქალაქის ხელში ჩაგდება. ამ მიზნით გეგმის განხორციელებას შეეცადა 1569 წელს, თუმცა - უშედეგოდ.[7]

ამ მარცხის მიუხედავად, ოსმალეთის ხელისუფლება არ ცხრებოდა და განაგრძობდა კავკასიაში თავისი უფლებების განმტკიცებას. ოსმალეთის სულტანმა სელიმ II-მ (1566-1574) კატეგორიულად მოსთხოვა მეფე ივანეს მდ. სუნჯასთან აგებული ციხესიმაგრის მოშლა. მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლება, რომლის ქვეყანაში ცალკე ბოიართა შორის შინა ომები მძვინვარებდა, ცალკე ლივონიის ომში (1558-1583) იყო ჩაბმული, იძულებული შეიქნა ოსმალეთთან პოლიტიკური ურთიერთობა არ გაემწვავებინა, მასთან დათმობაზე წასულიყო და 1571 წელს ხსენებული ციხესიმაგრე დაანგრია[8].

ყირიმის ხანმა დევლეთ გირეიმ (1551-1577) ისარგებლა მოსკოვის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობით, იმავე, 1571 წელს, მოსკოვზე გაილაშქრა და მისი დიდი ნაწილი გადაწვა. [9] მაგრამ XVI საუკუნის 80-იან წლებში ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე მომხდარმა ცვლილებებმა მოსკოვს შესაძლებლობა მისცა რამდენადმე შეეცვალა ოსმალეთის მიმართ თავისი დამოკიდებულება.

1577-1578 წლებში ოსმალეთის იმპერიამ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა მოაგვარა. მან ავსტრიასა და რეჩ პოსპოლიტასთან საზავო ხელშეკრულებები დადო - დაარღვია 1555 წლის ამასიის ზავი და 1578 წლის 5 აპრილს სეფიანთა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო (ოსმალეთ-ირანის 1578-1590 წლების ომი). მისი ძირითადი მიზანი იყო სამხრეთ კავკასიისა და დასავლეთ კასპიისპირეთის დაპყრობა და ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მარშრუტის ხელში ჩაგდება. [10] როგორც ჩანს, ამით ოსმალეთის იმპერია არა მარტო სეფიანთა სახელმწიფოს უპირისპირდებოდა, არამედ მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთისაკენ წინსვლის შეჩერებას ცდილობდა. ასევე, ოსმალთათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდებაც.

---

[7] მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000), (თბილისი: არტანუჯი, 2007), 147-148; მიხეილ სვანიძე, ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.), (თბილისი: არტანუჯი, 1999), 196-198. Николай А. Смирнов, Россия и Турция в XVI-XVII вв. т. 1, Ученые записки МГУ, выпуск 94 (Москва: Издательство МГУ, 1946), 100-114. Английские путешественники в Московском государстве в XVI веке, Ответственный редактор Н. Л. Рубинштеин. Перевод с английского на русский язык Ю. В. Готье, Введение Г. Новицкого (Ленинград: «Печатный Двор» им. А. М. Горького, 1937), 250. Семен М. Броневский, Историческия выписки о сношениях России с Персиею, Грузиею и вообще с горскими народами, в Кавказе обитающими, со времен Ивана Васильевича доныне, подготовка текста к изданию, предисловие, примечания, словарь малоизвестных слов, указатели. И. К. Павловой (Санкт-Петербург: РАН. Санкт-Петербургское Востоковедение, 1996), 28-29.

[8] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 177.

[9] გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 115,

[10] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., (თბილისი: მეცნიერება, 1971), 100-101; დავით კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები (თბილისი: ჰოროსი XXI, 2009). 401; გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 147-148.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვის სახელმწიფო ირან-ოსმალეთის დაპირისპირებების დროს მანამდე უბრალო მეთვალყურეს წარმოადგენდა, ამ ახალმა ომმა, განსაკუთრებით, მისმა შედეგებმა, მისთვის გარკვეული მნიშვნელობა მიიღო.

ზემოთ ნახსენები ომი თავდაპირველად ოსმალთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ოსმალებმა სამხრეთ კავკასიაში წარმატებებს მიაღწიეს და საკუთრივ ირანის ტერიტორიასაც შეუტიეს.[11]

გარდა ოსმალეთისა, ირანს ოზბეგებიც აყენებდნენ ზიანს. ამას ემატებოდა ყიზილბაშთა ტომებს შორის შინააშლილობა და მათი დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან.[12]

XVI საუკუნის 80-იან წლებში ოსმალეთის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია, როგორც მოსკოვის სახელმწიფოში, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რამაც მათ შორის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით, დიპლომატიური მოღვაწეობა გაახშირა. ანტიოსმალურ განწყობას ყველაზე მეტად ის აძლიერებდა, რომ ოსმალების სამხრეთ კავკასიაში გაბატონებამ და კასპიისპირეთში გასვლამ ძალზე შეაფერხა ვაჭრობა. როგორც ცნობილია, ოსმალებმა ევროპის ქვეყნების ირანთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალი გადაკეტეს, სადაც ინდოეთიდან და ჩინეთიდან ცნობილი აბრეშუმის გზა გადიოდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოსკოვის სახელმწიფოსთვის XVI საუკუნეში ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, უფრო გასაგები გახდება მისთვის ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალის აუცილებლობა, რასაც ასე ადვილად ვერ შეელეოდა. ეს იმიტომ, რომ მოსკოვის სახელმწიფოში აღმოსავლეთიდან შეტანილი საქონელი საკმაოდ აღემატებოდა დასავლეთის საქონელს.[13] განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ირანულ აბრეშუმზე, ხალჩებზე, ძვირფას ქსოვილებზე, თვალ-მარგალიტზე და სხვა. დროთა განმავლობაში უფრო ინტენსიური ხდებოდა მოსკოვის სახელმწიფოსა და ირანს შორის სავაჭრო ურთიერთობები. მოსკოვ-ასტრახანში ირანელ ვაჭრებს საკუთარი სადგომებიც კი ჰქონდათ. ასევე, თავის მხრივ, რუსი ვაჭრები ხშირად მიმოდიოდნენ მოსკოვის სახელმწიფოსა და ირანს შორის. განსაკუთრებით ბლომად იყვნენ ისინი შირვანის სახანოს დედაქალაქ შემახაში, რომელიც წარმოადგენდა იმდროინდელ სამხრეთ კავკასიაში აბრეშუმის დამზადებისა და აბრეშუმით ვაჭრობის მთავარი ცენტრს.[14]

---

[11] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ (თბილისი:მეცნიერება, 1964), 36-55, 68-72; მიხეილ სვანიძე და რუსუდან შარუმაშვილი, „ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა 1578-1579 წლებში“, პერსპექტივა-XXI, №IX (2) (2008): 224-239.

[12] Михаил С. Иванов, Очерк истории Ирана (Москва: Госполитиздат, 1952), 63-64.

[13] Мария В. Фехнер, Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке (Москва: Госкультпросветиздат, 1956), 5-8.

[14] ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.)“, ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები, სტატიების კრებული, ტ. I (2016): 31.

თავის მხრივ, ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო მარშრუტის ათვისება-გამოყენების საკითხში რუსეთის ინტერესებს სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც ემთხვეოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ხსენებული სანაოსნო მაგისტრალის გამოყენების შედეგად ირანის მთავარ მოწინააღმდეგეს - ოსმალეთის იმპერიას - შეუწყდებოდა ის მნიშვნელოვანი შემოსავალი, რომელსაც იძლეოდა ბაჟები სპარსულ და შირვანულ აბრეშუმზე, რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ ოსმალეთის ტერიტორიის ტრანზიტით გადიოდა ჰალებსა (ალეპოსა) და დამასკოში, შემდეგ კი - დასავლეთ ევროპაში.[15]

ამგვარად, ირანს, რომელიც XVI საუკუნის 80-იან წლებში გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდა ოსმალეთის წინააღმდეგ, მოსკოვის სახელმწიფოსთან დაახლოება, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მოსაზრებით, მომგებიანად ესახებოდა. ასე რომ, ხსენებულ პერიოდში სეფიანთა ირანს მოსკოვის სახელმწიფო თავის მოკავშირედ მიაჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ირანისა და რუსეთის ტერიტორიაზე მობინადრე ხალხებს ჯერ კიდევ ადრეულ წლებში აკავშირებდათ გარკვეული ურთიერთობები. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში, კერძოდ VII საუკუნიდან - XVI საუკუნის დასაწყისამდე ერთიანი ძლიერი ირანის სახელმწიფო აღარ არსებობდა. მის ტერიტორიაზე რამდენიმე ფეოდალური სახელმწიფო იყო წარმოქმნილი. თანამედროვე ირანის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ხალხების მახლობლად სლავები ბინადრობდა, რომლებიც VIII-IX საუკუნეებში კიევის რუსეთის ქვეშ გაერთიანდნენ. კიევის რუსეთს, რომელზედაც გადიოდა სატრანზიტო გზები სხვადასხვა მიმართულებით, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან უხდებოდა სხვადასხვა სახის ურთიერთობა. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე რუსეთისა და ირანის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის დაახლოებას. წლების განმავლობაში არსებობდა მათ შორის გარკვეული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ სხვადასხვა კულტურული კავშირი,[16] მაგრამ რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობა უკვე სეფიანთა ირანსა (სპარსეთსა) და მოსკოვის სახელმწიფოს (რუსეთს) შორის დამყარდა XVI საუკუნის 80-იან წლებში.

სეფიანთა და მოსკოვის სახელმწიფოებს შორის XVI საუკუნის პირველ ნახევარსა და მის შუა წლებშიც არსებობდა გარკვეული კავშირი და დაახლოების მცდელობა: 1521 წელს მოსკოვის დიდმთავარ ვასილი III-სთან (1505-1533) ირანის შაჰის, ისმაილ I-ის (1501-1524), ელჩობა ჩავიდა ზარბაზნებისა და აბჯრების შესაძენად და ოსტატთა დასაქირავებლად; 1552 წელს, დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად, მოსკოვში მეფე ივანე IV-ის კარზე იმყოფებოდა შაჰ თამაზ I-ის (1524-1576) ელჩობა სეიდ მოჰამედის მეთაურობით;[17] XVI საუკუნის 50-იან წლებში ინგლისელებმა სავაჭრო ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან დაამყარეს. მოსკოვის სახელმწიფოს ტრანზიტით, ვოლგა-ასტრახან-კასპიის გზის გამოყენებით, ბრიტანელებმა შუა აზიაში ერთი (1558-1560) და აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში ექვსი (1561-1581) სავაჭრო ექსპედიცია მოაწყვეს. 1562 წელს

---

[15] კარლო კუცია, აღმოსავლეთის ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს. (თბილისი: მეცნიერება, 1976), 40.

[16] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 29.

[17] იქვე, 36, 39-40.

კი მოსკოვში, რუსთა მეფის კარზე, ირანის შაჰის ელჩს შეხვდა ინგლისელთა სავაჭრო ექსპედიციის წევრი და „მოსკოვის კომპანიის“ სავაჭრო აგენტი ენტონ ჯენკინსონი და მასთან ერთად იმგზავრა ასტრახანამდე.[18] დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ 1569 წლის 14 მაისს მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებმა ირანში გაგზავნეს ელჩობა ალექსეი ხოზნიკოვის მეთაურობით, რომელსაც სამხედრო დახმარების მიზნით, სეფიანთა ქვეყანაში მიჰქონდა 100 ზარბაზანი და 500 თოფი, თუმცა ამ ელჩობის შესახებ სხვა ცნობა არ შემონახულა.[19]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთ-ირანის ხსენებულ ომის დასაწყისში ირანის ჯარი მარცხს განიცდიდა. გართულებულმა სიტუაციამ აიძულა ირანის მთავრობის მესვეურები მოკავშირე მოეძებნა. მათ გაითვალისწინეს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მოსკოვის სახელმწიფოს უარყოფითი განწყობა, რაც გამოხატული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მეტოქეობით და არჩევანი მასზე შეაჩერეს. 1586 წელს ირანიდან მოსკოვის სახელმწიფოში გაიგზავნა ელჩობა. ამ ელჩობას მეთაურობდა ირანის შაჰ მოჰამედ ხოდაბანდესთან (1578-1587) დაახლოებული პირი, ჰადი ბეგი. რუსულ საარქივო დოკუმენტებში ის ანდი ბეგად ან ანდი ბეიდ არის მოხსენიებული.[20] არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოჰამედ ხოდაბანდეს ზეობის დროს, ჯერ კიდევ ამ ელჩობამდე რამდენიმე წლით ადრე, იყო მცდელობა ირანის მხრიდან მოსკოვის სახელმწიფოსთან დაკავშირებისა. კერძოდ, 1583 წელს, ირანიდან მოსკოვში გაიგზავნა ელჩობა, თუმცა ამ ელჩობის ისტორია ბურუსითაა მოცული.[21]

მოსკოვის სახელმწიფოს მაშინდელი მდგომარეობა კი ასეთი იყო: ამ სახელმწიფოს მეფე იყო თევდორე ივანეს ძე (1584-1598), ფაქტობრივად კი ქვეყანას მისი ცოლის, ირინას, ძმა, ბორის გოდუნოვი, მართავდა. მოსკოვის სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობა, რომელიც შერყეული იყო მისთვის წარუმატებელი ლივონიის (1558-1583) ომით, თანდათან უმჯობესდებოდა. 1587 წელის აგვისტოში რეჩ-პოსპოლიტასთან დაზავებამ მას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ეკონომიკური, ფინანსური და სამხედრო ძალების აღსადგენად. გარდა ამისა, ხსენებული ზავი მოსკოვის სახელმწიფოს ხელ-ფეხს უხსნიდა ბალტიის ზღვაზე გასასვლელად შვედეთთან ომის განახლებისათვის. ასევე, მოსკოვის სახელმწიფოს მეფისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა საომარი მოქმედებები დაეწყო სამხრეთის მიმართულებით, სადაც მისი მთავარი მოწინააღმდეგენი იყვნენ ოსმალეთის სულთანი და მისი მოკავშირეები: ყირიმის ხანი და დაღესტნის შამხალი. მათ წინააღმდეგ საომრად კი საუკუთესო მოკავშირედ, მაშინდელი პოლიტიკური გადასახედიდან სეფიანთა ირანი მოიაზრებოდა. სწორედ ამიტომ 1587 წლის მიწურულს მოსკოვის სამეფო კარზე დიდი პატივითა და კეთილგანწყობით მიიღეს ირანის ზემოთ ნახსენები ელჩობა.

აღსანიშნავია, რომ ასტრახან-მოსკოვის გზაზე ჰადი ბეგის ელჩობას ყაჩაღები დაესხნენ თავს, გაძარცვეს და ნივთები წაართვეს, რომელთა შორის ირანის

---

[18] Английские путешественники в Московском государстве в XVI веке, 19; 201-202.

[19] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. 44.

[20] იქვე, 57.

[21] Артем А. Андреев, Екатерина П. Писчурникова, Сергей Е. Костиков, «Несостоявшийся союз: Российско-Иранские отношения накануне смутного времени в Иранской и Российской историографии», Новое прошлое, The Now Past, №3 (2020): 89.

შაჰისგან მეფე თევდორესთან გაგზავნილი ნივთებიც იყო. როცა ეს ამბავი რუსთა მეფემ შეიტყო, ბრძანა ჰადი ბეგისა და მისი ამალის წევრებისათვის მატერიალური დანაკარგი ოცდაათმაგად აენაზღაურებინათ და დამნაშავენი სასტიკად დაესაჯათ.[22] ვფიქრობთ, ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას მოსკოვის სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

სამწუხაროდ, არ შემონახულა ჰადი ბეგის მოსკოვში ჩასვლის თარიღი და მეფე თევდორესთან (1584-1598) აუდიენციის ზუსტი დეტალები. რუსი მკვლევარ-ისტორიკოსი პ. პ. ბუშევი, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ ჰადი ბეგი მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა 1587-1588 წლებში, მას შემდეგ, რაც მოსკოვში ცნობა მიიღეს, რომ საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩები როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი 1587 წლის 26 აგვისტოს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1601; 1602-1605) თავისთან მიიღო.[23] მართლაც, საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ზემოთ ნახსენები ელჩები მეფე ალექსანდრე II-მ თავისთან აუდიენციაზე 1587 წლის აგვისტოს მიწურულს მიიღო.[24] იმავე პ. პ. ბუშევის ნაშრომში ერთ-ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით მოხმობილია ს. ა. ბელოკუროვის ციტატა: „ოთხმოცდათექვსმეტ წელს მივიდა ხელმწიფესთან... თევდორე ივანეს ძესთან... ყიზილბაშთა შაჰ ხოდაბანდესგან... შიკრიკი ანდი ბეგი...“ რაც შეეხება ამ დოკუმენტში აღნიშნულ რიცხვს - 96, პ. პ. ბუშევი, თავის ნაშრომში განმარტავს, რომ ეს უნდა ყოფილიყო 7096 წელი, რომელიც ძველრუსული კალენდრით იწყება 1587 წლის 1-ელ სექტემბერს და მთავრდება 31 აგვისტოს.[25]

ოსმალეთთან ომის გამო გამოუვალ სიტუაციაში მყოფი ირანის შაჰი მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს დახმარებას ჰადი ბეგის პირით სთხოვდა. მართალია, მეფე თევდორეს კარზე ჰადი ბეგი პატივით მიიღეს, მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის გარანტია ვერ მისცეს. მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობას იმ დროს არ შეეძლო ფართომასშტაბიანი ომი, ამიტომ რუსმა პოლიტიკოსებმა ჰადი ბეგს მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა განუცხადეს ირანთან სამხედრო კავშირზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომავლისთვის გადადეს. აღსანიშნავია, რომ ირანის შაჰი მოჰამედ ხოდაბანდე რუსთა მეფე თევდორეს, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, კასპიის ზღვის ორ მნიშვნელოვან-სტრატეგიულ საპორტო ქალაქს - ბაქოსა და დარუბანდს - სთავაზობდა, რომლებიც იმ დროს ოსმალთა ხელში იყო. შაჰი იმ შემთხვევაშიც უთმობდა რუსთა მეფეს ზემონახსენებ

[22] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 60-61.

[23] იქვე, 58; Михаил А. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу (Тифлис: Напечатано по распоряжению Академии Наук СССР, 1935), 21-23.

[24] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, 21; მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 145.

[25] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 58.

ქალაქებს, თუ მათ მხოლოდ ირანის ჯარი გაათავისუფლებდა რუსთა ჯარის დაუხმარებლად[26]

რუსთა სახელმწიფოს მესვეურთათვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა შაჰის ეს შემოთავაზება. დარუბანდის დაუფლებით ირანის სახელმწიფოს ხომ პირდაპირი გზა ეხსნებოდა საქართველოსკენ. ამას ზედ ერთვოდა ის გარემოება, რომ XVI საუკუნის 80-იან წლებში კვლავ განახლდა დიპლომატიური ურთიერთობები მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის. მოსკოვის სახელმწიფო ირანთან, კახეთსა და კავკასიის სხვა ხალხებთან კავშირით ცდილობდა თავისი სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრების დაცვას, გავლენის სფეროების გაფართოებასა და აღმოსავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერებას. კახეთს კი რუსთა მხარდაჭერა და დახმარება ესაჭიროებოდა საგარეო მტრებისაგან საკუთარი უსაფრთხოების უზუნველყოფისათვის. აღსანიშნავია, რომ მოსკოვსა და კახეთს შორის გახშირდა ელჩების გაცვლა, რის შედეგადაც 1587 წელს მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება - „ფიცის წიგნი“. აქვე დავამატებთ, რომ ამ ამბებიდან ორი წლის შემდეგ, 1589 წელს კი მეფე ალექსანდრე II-მ მეფე თეოდორესაგან მიიღო მფარველობის ოფიციალური დადასტურება „წყალობის სიგელი“.[27] ამ ყველაფერს მოჰყვა მოსკოვის სახელმწიფოს უფრო მეტად გააქტიურება კავკასიაში. 1588 წელს მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობამ ჩრილოეთ კავკასიაში ციხესიმაგრეები ააგო და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა.[28] რუსთა ამ ქმედებით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყვნენ ოსმალეთის სულთანი, ყირიმის ხანი და დაღესტნის შამხალი. მართალია, არც ირანის პოლიტიკურ წრეებში მოსწონდათ რუსთა გამოჩენა კასპიის ზღვის სანაპიროზე და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ისინი ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ, რადგან იმ პერიოდში ირანისთვის მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობა ყოვლად მისაღები იყო, საერთო მტრის - ოსმალეთის იმპერიის - წინააღმდეგ საბრძოლველად. ის კი არა, როგორც ითქვა, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, ირანის მხარე მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს ბაქოსა და დარუბანდს სთავაზობდა.

ვფიქრობთ, სწორედ ამ უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე პუნქტების თავის გავლენის სფეროში მოქცევის პერსპექტივამ დააჩქარა მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართ აღებული საგარეო პოლიტიკური კურსი უფრო მეტად გაეაქტიურებინათ. ბოიართა სათათბიროს გადაწყვეტილებით, 1588 წლის გაზაფხულზე მოსკოვიდან ირანში გაიგზავნა საპასუხო ელჩობა ბორის გრიგორის ძე ვასილჩიკოვის მეთაურობით. მოსკოვის ამ ელჩობის მთავარი მიზანი იყო ირანის შაჰის მიერ მოსკოვის სახელმწიფოსთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ბაქოსა და დარუბანდის

---

[26] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 63. გელაშვილი. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 185-186; კახაბერ დემეტრაშვილი, „ბაქოსა და დარუბანდის საკითხი ირან-რუსეთის ურთიერთობაში“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XI (2018): 237-249.

[27] მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 144-145.

[28] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“: 28; მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 146; Екатерина Н. Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.,(Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963), 261, 269.

დათმობის შესახებ მოცემული წინადადების დაზუსტება. მათ გაჰყვა სამშობლოში ჰადი ბეგიც.[29]

იმ პერიოდში, კერძოდ, 1587 წელს, ირანში სამხედრო გადატრიალება მოხდა. მოჰამედ ხოდაბანდე სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს და ირანის შაჰი გახდა მისივე ვაჟი აბას I (1587-1629)[30] ახალგაზრდა შაჰს მძიმე მემკვიდრეობა ერგო: ირან-ოსმალეთის ომი ოსმალთა უპირატესობით მიმდინარეობდა, ქვეყანაში ანარქია სუფევდა, ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს თავს ესხმოდნენ ოზბეგები, ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები სუსტი იყო. ასეთ ვითარებაში, მის მთავარ ამოცანას იმ დროს ოსმალეთთან დაზავება წარმოადგენდა. 1588 წლის სექტემბერში რუსთა ზემოთ ნახსენები ელჩობა ირანში ჩავიდა. ამ დროს ირანსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობდა. ვასილჩიკოვის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ირანის ახალგაზრდა შაჰი დიდ ინტერესს არ იჩენდა მამამისის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩის მიმართ. ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ მან მალევე არ მიიღო სამშობლოში დაბრუნებული ჰადი ბეგი (ანდი ბეგი), გადადო-რა მასთან შეხვედრა ნახევარი წლით. ის მხოლოდ წერილობითი ცნობით დაკმაყოფილდა. ვფიქრობთ, რომ ირანის მბრძანებლის გულგრილი დამოკიდებულება ამ ელჩების მიმართ ზემოთ ნახსენები მიზეზებით იყო გამოწვეული. ჰადი ბეგი ირანის შაჰმა ბოლოს მაინც მიიღო. ეს მოხდა 1589 წლის 8 აპრილს. ამის შემდეგ, სხვადასხვა ქალაქში ყოფნისა და შვიდთვიანი შეფერხების შემდეგ, შაჰ აბასმა თავი კარზე რუსთა ელჩიც მიიღო. აუდიენცია 1589 წლის 9 აპრილს ქ. ყაზვინში შედგა. საუბარში ირანის შაჰმა მოსკოვის სახელმწიფოსთან პოლიტიკური კავშირის გაფორმებისგან თავი შეიკავა, მაგრამ მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელება საჭიროდ მიიჩნია. ირანის შაჰის კარზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოსკოვში გაეგზავნათ საპასუხო ელჩობა. 1589 წლის 30 ივნისს, სამშობლოში დაბრუნებულ ბ. გ. ვასილჩიკოვს ირანელი ელჩები: ბუთაქ ბეგი და ჰადი ბეგი გააყოლეს. რაც შეეხება ბაქოსა და დარუბანდის საკითხს, ირანის ახალგაზრდა შაჰმა მოხერხებულად შეცვალა თავისი მამის მიერ თევდორე მეფისთვის მიცემული წინადადება და ელჩებს მოსკოვში გაატანა სულ სხვა პროექტი, რომლის თანახმადაც, რუსთა ჯარს ბაქოსა და დარუბანდისთვის უნდა შეეტია, ხოლო ირანის ჯარი შირვანს დალაშქრავდა. გამარჯვების შემთხვევაში მოსკოვის სახელმწიფო კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე გაბატონდებოდა, ირანი კი - სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. გამოდიოდა, რომ რუსებს თავიანთი ძალით უნდა აეღოთ ბაქო და დარუბანდი.[31] როგორც ჩანს, ირანის ახალგაზრდა შაჰი მოსკოვის სახელმწიფოსთან მიმართებაში ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკის გატარებას შეუდგა.

ვფიქრობთ, რომ მოსკოვის სახელმწიფოს პირველ ელჩობას ირანში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, დაიდო ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის, რომლის თანახმადაც მყარდებოდა მათ შორის დიპლომატიური

---

[29] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 182. Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 71-72.

[30] Михаил С. Иванов (Отв. редактор), История Ирана (Москва: Издательство МГУ, 1977), 176.

[31] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 183-185. Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 106-113.

ურთიერთობა, რასაც შემდეგში რეგულარული სახე უნდა მისცემოდა. მათი ურთიერთობა კი, რაღა თქმა უნდა, ძირითადად, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო მიმართული. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ელჩობა მნიშვნელოვანი იყო, როგორც ამ ქვეყნებს შორის შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებისთვის, ასევე, კავკასიელი ხალხისთვისაც. სწორედ ამ სამი ძლიერი ქვეყნის (მოსკოვის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი) ძალთა წონასწორობაზე დიდწილად იყო დამოკიდებული ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მდებარე ქვეყნებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების შემდგომი განვითარება.

რაც შეეხება რუსთა მეფესთან გაგზავნილ ბუთაქ-ბეგის ელჩობას, უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლება მისგან ბევრს არაფერს მოელოდა. ამის დემონსტრირებად ის ფაქტი გამოდგება, რომ ირანელთა ზემოთ ნახსენებ ელჩობას საკმაო ხანი აცდევინეს და წელიწადნახევარი ლოდინის შემდეგ მიიღეს. ბუთაქ ბეგისა და ჰადი ბეგის აუდიენცია მეფე თევდორესთან შედგა 1590 წლის 10 მაისს მოსკოვში. ელჩებს მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური წრეების სხვა წარმომადგენლებთანაც ჰქონდათ აუდიენცია: 10 მაისს ბორის თევდორე ძე გოდუნოვთან, ხოლო 22 მაისს კი - სხვადასხვა პოლიტიკოსთან და გავლენიან ხალხთან.[32]

რუს დიპლომატებს ირანთან მიმართებაში რამდენიმე მდგომარეობა აფიქრებდათ: 1) შაჰ აბასის პასიური პოზიცია ყაზვინში ჩასული რუსი ელჩების მიმართ; 2) ირანის შაჰის მხრიდან მოსკოვში საპასუხო ვიზიტით შეუფერებელი ელჩობის გაგზავნა ბუთაქ ბეგისა და ჰადი ბეგის მეთაურობით, რომლებიც არ იყვნენ უზრუნველყოფილნი საჭირო უფლებამოსილებით. გარდა ამისა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ეს ელჩები ცდილობდნენ, რუს დიპლომატებისთვის არასწორი ინფორმაცია მიეწოდებინათ ოსმალეთ-ირანის ომზე; 3) ბ. გ. ვასილჩიკოვი, ჯერ კიდევ ყაზვინში ყოფნის დროს მიხვდა მოსკოვის სახელმწიფოს მიმართ ირანის შაჰის ნამდვილ პოზიციას, რომელიც საკმაოდ ფრთხილ მოქმედებაზე იყო დაფუძნებული.[33]

ბუთაქ ბეგისა და ჰადი ბეგის ელჩობას პოლიტიკურად, ფაქტობრივად, ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ელჩებმა, რომლებიც მოქმედების ზუსტი პროგრამის გარეშე ჩავიდნენ მოსკოვში, მთავარ საკითხზე - ოსმალეთის წინააღმდეგ მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანის შესაძლო სამხედრო კავშირზე - რუს დიპლომატებს კონკრეტული წინადადება არ შესთავაზეს მაშინ, როდესაც, ირანის შაჰის კარზე ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ომის შეწყვეტის თაობაზე.[34]

რუსმა დიპლომატებმა გადაწყვიტეს თავი შეეკავებინათ ირანის ელჩობისათვის პირდაპირი პასუხი გაეცათ და დალოდებოდნენ ირან-ოსმალეთის მოლაპარაკებების შემდეგ მოვლენების განვითარებას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს მოსკოვის სახელმწიფო შვედეთთან ომში იყო ჩაბმული და ყირიმის ხანთანაც გამწვავებული ჰქონდა ურთიერთობა. ბაქოსა და დარუბანდზე შეტევის დაწყება კი, ფაქტობრივად, ოსმალეთთან ომში ჩაბმას

[32] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 113-116, 122, 128-134.
[33] იქვე, 124.
[34] იქვე, 143.

მოასწავებდა, რისი ძალაც მას აღარ შესწევდა. ამასთან, ცნობილი გახდა ირანსა და ოსმალეთს შორის ელჩობების გაცვლა-გამოცვლის ინფორმაცია. მოსკოვში ისიც უწყოდნენ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგად ოსმალეთის სულტანს მთელ სამხრეთ კავკასიაზე გაბატონება სურდა, ირანის შაჰს კი მხოლოდ რამდენიმე ქალაქს უთმობდა. თუ მათ შორის საზავო მოლაპარაკება ამ პირობით გაფორმდებოდა, ადვილი შესაძლებელი იყო ბაქო და დარუბანდი კვლავ ოსმალთა ხელში დარჩენილიყო. ასეთ სიტუაციაში მოსკოვისა და სეფიანთა სახელმწიფოებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი აზრს კარგავდა, მოსკოვის სახელმწიფო ხომ სწორედ ამ ქალაქების მიღების მიზნით ამყარებდა, ძირითადად, ირანთან პოლიტიკურ კავშირს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში ირანელი ელჩების ჩატანილი წინადადება - რუსეთის ძალებით ბაქოსა და დარუბანდის აღების შესახებ - მიუღებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ამ ორი ქალაქის სანაცვლოდ, მოსკოვის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა ირანის მხარეს, დარუბანდისა და ბაქოს მიღების საფასურად, მათთვის სამხედრო დახმარების გაწევა, იარაღის მიყიდვა და ოსმალეთის მოწინააღმდეგე ევროპის ქვეყნებთან მისი დაკავშირება შესთავაზეს.[35] ასევე, მათ წერილობით აცნობეს ირანის ელჩობას, რომ ამიერიდან, ირანელ ვაჭრებს თავისუფლად შეეძლოთ ვაჭრობა მოსკოვის სახელმწიფოს ტეროტორიაზე.[36] რაც შეეხება სამხედრო ოპერაციებს, მოსკოვის სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებთან ლოკალური ხასიათის საომარი ოპერაციებით შემოიფარგლა მხოლოდ.[37]

ამ ამბებიდან მალე, 1590 წლის 21 მარტს, ქ. სტამბოლში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, მთელი ჩრდილოეთი და სამხრეთი აზერბაიჯანი (არდებილისა და თალიშის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთს დარჩა. ხელშეკრულების პირობით, ყიზილბაშებს თავი უნდა შეეკავებინათ სამი პირველი ხალიფას (აბუ ბექრის, ომარის, ოსმანის) საჯარო წყევლა-კრულვისაგან.[38] რაც შეეხება ბაქოს და დარუბანდს, ეს ქალაქები კვლავ ოსმალეთის ხელში რჩებოდა. ამ ზავით განაწყენებულმა მოსკოვის სახელმწიფომ უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ დემონსტრაციულად შეწყვიტა ურთიერთობა ირანთან და მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა 1590 წლის 29 ივნისს სამშობლოში დაბრუნებულ ირანელთა ელჩობისათვის საკუთარი ელჩობა გაეყოლებინა.[39]

ირანის შაჰმა, აბას I-მა, იმის ნაცვლად, რომ ოსმალეთ-ირანის ზემოთ ნახსენები ზავის შესახებ ოფიციალურად ეცნობებინა მოსკოვის სახელმწიფოსთვის, მისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება ამჯობინა. 1591 წლის ზაფხულში მან შიკრიკი ქაია გააგზავნა მოსკოვში ძვირფასი საჩუქრებით, რომელთა შორის იყო ცხრა ოქროს ბეჭედი ლალებით, ალმასებითა და ფირუზებით

[35] ტივაძე. „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 185-186.

[36] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг, 144.

[37] კაციტაძე, ირანის ისტორია, 404.

[38] სვანიძე, თურქეთის ისტორია, 174. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, 232. Октай Абдулкерим оглы Эфендиев, Азербаиджанское государство Сефевидов в XVI веке, Баку: ЭЛМ, 1981, 198.

[39] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 138-142.

გაწყობილი. ქაიას უნდა დაერწმუნებინა მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკოსები, რომ თითქოს ირანს ოსმალეთთან ზავი არ დაუდია და კვლავ აგრძელებდა მასთან ბრძოლას. შიკრიკი დაჟინებით ცდილობდა დაეთანხმებინა მეფე თევდორე, გაეგზავნა ჯარი დარუბანდისა და ბაქოს დასაუფლებლად. შიკრიკის გადმოცემით, ამის სანაცვლოდ, ირანის შაჰი მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს, ზემოთ ნახსენები ორი ქალაქის გარდა, ქალაქ შემახასაც ჰპირდებოდა. მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობამ ამ დეზინფორმაციაზე უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ დაიწუნა რუსთა მეფესთან ირანის შაჰის მიერ გაგზავნილი ძვირფასი ბეჭდები (დეფექტიანობის საბაბით), რომლებიც უკან დაუბრუნეს შიკრიკ ქაიას. ირანის ხელისუფლებამ მხოლოდ 1593 წელს, სტამბოლის ზავიდან სამი წლისა და ხუთი თვის შემდეგ, მეფე თევდორეს ხაჯი ხოსროვის პირით აცნობა ხსენებული ზავის შესახებ. ირანის შაჰმა ამ ოფიციალურ განცხადებასთან ერთად, აუწყა რუსთა მხარეს, რომ ეს ზავი მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებდა.[40]

ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ევროპაში. როგორც რუსეთში, ასევე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაინტერესებულნი იყვნენ ირან-ოსმალეთის ომის გაგრძელებით. დასავლეთ ევროპაში შიშობდნენ, რომ ირანის დამარცხების შემდეგ, ოსმალეთი მთელი თავისი ძალით დასავლეთს მიუბრუნდებოდა. მოსკოვი კი იმით იყო შეწუხებული, რომ გაძლიერებული ოსმალეთი მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდებით არ დაკმაყოფილდებოდა და შესაძლო იყო, ეცადა ჩრდილოეთ კავკასიის დასაკუთრებაც. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსკოვის სახელმწიფოს მიერ წარმატებით დაწყებული სამხედრო ოპერაციები მალე წარუმატებლობით შეიცვალა. მიუხედავად ამისა, კახეთის მეფე კვლავ დაჟინებით სთხოვდა მოსკოვის ხელისუფლებას საშამხლოს დაპყრობას.

1590 წლის სტამბოლის ზავის შემდეგ კვლავ შეიქმნა ოსმალეთის საფრთხე ევროპის ქვეყნებისთვის. ეს შიში მალე გამართლდა, როდესაც 1593 წელს, ოსმალეთმა ომი გააჩაღა ავსტრიის წინააღმდეგ და ევროპის ქვეყნები კვლავ ოსმალეთის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში ევროპის სახელმწიფოები ისევ დაინტერესდნენ ირანითა და საქართველოთი. გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ ოსმალეთ-ირანის 1578-1590 წლების ომის დროს, ოსმალთა ჯარს სწორედ საქართველოში მოუვიდა ყველაზე დიდი ზარალი. მათ მოინდომეს ანტიოსმალური კოალიციაში ჩაებათ ეს ქვეყნები. ფართო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით, 1593 წლის 17 სექტემბერს მოსკოვში ჩავიდა ავსტრიის იმპერატორის ელჩი ნოკოლოზ ვარკოჩი, რომელიც იმავე წლის 7 ოქტომბერს შეხვდა ბორის გოდუნოვს. ავსტრიის ელჩმა დადებითი პასუხი მიიღო. ნ. ვარკოჩის თხოვნით, ის შეახვედრეს მოსკოვში მყოფ ირანის შაჰის ელჩ ხაჯი ხოსროვს, რომელსაც საღვთო რომის იმპერატორის რუდოლფ II-ის (1576-1612) თხოვნა გადასცა, რომ ირანი არ შერიგებოდა ოსმალეთს და იმპერატორთნ ერთად ყოფილიყო ოსმალეთის მოწინააღმდეგე. ირანის ელჩმა უპასუხა, რომ თუ სამი დიდი სახელმწიფო (მოსკოვის სახელმწიფო, ავსტრიის იმპერია და სეფიანთა ირანი) შეერთებული ძალებით, თავს დაესხმებოდნენ ოსმალეთს, მაშინ ოსმალეთი დამარცხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ნ. ვარკოჩის მოსკოვში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსთა მთავარ ქალაქში ოსმალეთის

[40] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 159, 170-171, 177, 230

სულტნის ელჩი რეზვან ჩაუში ჩავიდა. მან თევდორე მეფეს გადასცა სულტან მურად III-ის (1574-1595) წერილი. თავის წერილში ოსმალეთის სულტანი იმუქრებოდა, რომ გაგზავნიდა ჯარს დონის კაზაკების წინააღმდეგ და გაანადგურებდა მათ თუ ისინი არ შეწყვეტდნენ აზოვზე თავდასხმებს. ამასთანავე, ის შეშფოთებას გამოთქვამდა რუსთა გააქტიურების გამო კასპიის ზღვაზე, დარუბანდის მახლობლად.[41]

ყოველივე აქედან გამომდინარე, მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლება იძულებული გახდა განეახლებინა დიპლომატიური მოლაპარაკებები სეფიანთა ქვეყანასთან, ვინაიდან ირანი მთელს აღმოსავლეთში ერთადერთი ძალა იყო, რომლის დაპირისპირება შესაძლებელი იყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ამის ნიადაგზე, 1594 წლის 30 მაისს, მეფე თევდორემ ირანში 64 კაცის შემადგენლობით ელჩობა გაგზავნა თავად ანდრეი დიმიტრის ძე ზვენიგოროდსკის მეთაურობით. ამ ელჩობას ევალებოდა ეზრუნა ირანთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებისათვის მოლაპარაკების განახლებაზე. ასევე, რუსთა ელჩს უნდა გამოერკვია რა ვითარება იყო ირანში და რამდენად შესაძლებელი იქნებოდა სეფიანთა სახელმწიფოს ჩაბმა ევროპის მიერ შექმნილ ანტიოსმალურ კოალიციაში. მას, აგრეთვე, უნდა შეეტყობინებინა ირანის შაჰისთვის იმპერატორ რუდოლფ II-ის თხოვნა, რომ ირანს შეეწყვიტა საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან და მის წინააღმდეგ გამოსულიყო. გარდა ამისა, ა. დ. ზვენიგოროდსკის ირანის მბრძანებლისთვის უნდა ეცნობებინა თევდორე მეფის ნებართვა, რომლის ძალითაც ირანელ ვაჭრებს უფლება ეძლეოდათ უბაჟო ვაჭრობისა და იარაღის შესყიდვისა მოსკოვის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[42]

აღსანიშნავია, რომ ა. დ. ზვენიგოროდსკის მოვალეობაში კახეთის საკითხიც ფიგურირებდა. თუმცა, ინსტრუქციის მიხედვით, მასზე რუსთა ელჩს თვითონ არ უნდა წამოეწყო მოლაპარაკებები. მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ესაუბრა ამ საკითხზე, თუ ამის შესახებ რამეს შეეკითხებოდნენ. სამაგიეროდ, ელჩს ევალებოდა ყოველი ღონე ეხმარა, რათა ირანიდან მოსკოვში წაეყვანა მძევლად მყოფი კახეთის უფლისწული კონსტანტინე, რომელიც ადრეული ასაკიდან ირანის შაჰის კარზე იმყოფებოდა. რუსთა ელჩს უნდა დაერწმუნებინა ირანის მბრძანებელი, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მეფესთან კახეთის უფლისწულის გაგზავნა, შაჰის მხრიდან, თავისი მეგობრისათვის ერთგულებისა და კეთილგანწყობის უტყარი დადასტურება იქნებოდა. ამის მიზეზად მოსკოვის სახელმწიფოს მხარე თავისი ასეთი სურვილის მიზეზად ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ბატონიშვილის მაჰმადიანურ ქვეყანაში მძევლად ყოფნის შეუძლებლობას აცხადებდა. ამ ქმედებით მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკოსები ცდილობდნენ, ირანის შაჰისთვის გამოერთმიათ მძლავრი იარაღი - მის ხელში მყოფი კახეთის უფლისწული. შესაძლებელი იყო, რომ შაჰის ხელში მყოფი კონსტანტინე კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტად ქცეულიყო, რაც არ აწყობდა

[41] სვანიძე, თურქეთის ისტორია, 179-180; სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 209; ტივაძე. „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 186-187.

[42] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 210; ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 188-189; Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 235-238.

არც კახეთსა და არც მოსკოვს.[43] თუმცა, ცნობილია, რომ რუსი ელჩის ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

1594 წლის 20 ოქტომბერს, როდესაც ზვენიგოროდსკი ქალაქ ყაზვინში მივიდა, იქ მას დიდი პატივით შეხვდნენ. ყორჩიბაში ალი ყული სულტანი და კონსტანტინე ბატონიშვილი სასურველ სტუმარს ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გაეგებნენ. ამ ცერემონიალში კახი უფლისწულის მონაწილეობა, როგორც მართებულად შენიშნავს აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ირანის შაჰის თავდაცვის აქტი იყო. შაჰ აბასმა, უეჭველია, უკვე იცოდა ელჩის, ხაჯი ხოსროვის, მოხსენებიდან, რომ ალექსანდრე მეფის შვილის შაჰის კარიდან გაყვანა მოსკოვის დიპლომატიას მორიგ ამოცანად დაესახა.[44] ირანის შაჰს არ სურდა პირდაპირ უარი ეთქვა მოსკოვის სახელმწიფოს ელჩისთვის და საქმის გადაწყვეტა თვით კონსტანტინეს მიანდო. ამ უკანასკნელმა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღება და დაცოლშვილება მოიმიზეზა და ზვენიგოროდსკის ცივი უარი განუცხადა მოსკოვში წასვლაზე.[45]

ანდრეი ზვენიგოროდსკის ელჩობამ თავისი ძირითადი მისია შეასრულა, გაარკვია-რა ირანში შექმნილი მდგომარეობა - მისი შინაპოლიტიკური ურთიერთობა თავის მეზობლებთან, უპირველეს ყოვლის, ოსმალეთის იმპერიასთან და ბუხარის სახანოსთან. რუსი ელჩი მიხვდა, რომ შაჰ აბასის დალოდების პოლიტიკა განპირობებული იყო საშინაო რეფორმების მოგვარებით, აგრეთვე, ოზბეგებისა და ხორასნის ამბოხებათა ჩაქრობით და ამიტომ არ რისკავდა ირანის შაჰი ოსმალეთის წინააღმდეგ ომის განახლებას, ის შესაფერის დროს ელოდებოდა.[46]

რაც შეეხება ქართველ მეფეებს, კახეთის მეფე ალექსანდრე II ანტიოსმალური გეგმის განხორციელებაში მთავარ როლს მოსკოვის სახელმწიფოს ანიჭებდა. ის ფიქრობდა, რომ ეს სახელმწიფო ოსმალეთთან გადამჭრელ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. ამ ბრძოლის მიზანი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო - ოსმალეთის იმპერიის აღგვა და ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის აღდგენა. ის, ასევე, საშამხალოს საკითხსაც უკავშირებდა ანტიოსმალურ გეგმას. მეფე ალექსანდრე II მოსკოვს ჰპირდებოდა თუ რუსთა ჯარი დარუბანდს მიადგებოდა, თვითონ ირანის შაჰთან ერთად ამოქმედდებოდა და იმ ციხე-სიმაგრეებს გაათავისუფლებდა, რომლებიც ოსმალებს ეკავათ.

როგორც ჩანს, მეფე ალექსანდრე II-ის დიპლომატიურმა ნიჭმა გარკვეული ნაყოფი გამოიღო. მოსკოვში გადაწყვიტეს შამხლის წინააღმდეგ გალაშქრება. რუსეთის ჯარს უნდა აეღო ტარყი, დაელაშქრა ყუმუხები, გაეხსნა და გაეწმინდა კახეთ-თერგის გზა. 1594 წელს რუსთა ჯარმა კასპიის ზღვის სანაპირო ადგილები აიღო, მდინარე კოისუზე ციხე-სიმაგრე ააგო და მალე ტარყიც დაიკავა.[47]

რაც შეეხება საქართველოსა და ირანის დამოკიდებულებას ანტიოსმალურ კოალიციასთან მიმართებაში, ისინი დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ აღნიშნულ მოწოდებას. ირანის შაჰს შესაძლებლობა ეძლეოდა სამხრეთ კავკასიაში დაერაზმა

---

[43] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 189-190.

[44] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“: 69-70.

[45] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 191.

[46] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 265-266.

[47] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 211-212.

ანტიოსმალური კოალიცია, რომელსაც ახლა უკვე რუსეთის ჩაურევლად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები აღმოუჩენდნენ დახმარებას. ამ მიზნით ის შეეცადა ქართველ მეფეთა თავის მხარეზე გადაბირებას, რასაც კიდეც მიაღწია. 1595 წელს ქართლის მეფე სიმონ I (1556-1569; 1578-1600), კახეთის მეფე ალექსანდერე II და ირანის შაჰი აბას I, ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის მოწყობაზე შეთანხმდნენ. ირანის შაჰმა ელჩები გაგზავნა მოსკოვის სახელმწიფოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. [48] როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება ინფორმირებული იყო ამის თაობაზე და 1595 წელს, სტამბოლში დროებით დააკავეს ირანის შაჰის ელჩი ზულფაყირი და მოსკოვის სახელმწიფოს ელჩი ისლენევი.

იმ პერიოდში, 1595 წელს, ოსმალეთის სულტნის ტახტზე ცვლილება მოხდა: გარდაცვლილი სულტან მურად III-ის ნაცვლად, ოსმალეთის იმპერიის საჭეთმპყრობელი გახდა სულტანი მეჰმედ III (1595-1603). როგორც ჩანს, ზემოთ ნახსენები ელჩები ახალი სულტნისთვის მისალოცად იმყოფებოდნენ სტამბოლში. ოსმალეთის ახალმა სულტანმა უხეში წერილი გაუგზავნა შაჰ აბასს. მასში სალანძღავი სიტყვებით იყო მოხსენიებული ქართლის მეფე სიმონი, რომელიც იმ დროისათვის ოსმალეთის მოხარკედ ითვლებოდა. სულტანი ქართლის მეფის ურჩობაში ირანის შაჰს ადანაშაულებდა. ასე რომ, სრულიად ვიზიარებთ მკვლევარ-ისტორიკოს ნანა გელაშვილის მოსაზრებას, რომელიც მართებულად შენიშნავს, რომ ხსენებული წერილი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში ქართველ მეფე-მთავართა პოლიტიკურ ორიენტაციას.[49]

უნდა ითქვას, რომ შაჰ აბასი ოსმალეთის სულტნის ამ მუქარას დიდი მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა მის მიერ არჩეულ პოლიტიკას. ამ ეტაპზე მას აუცილებლად მიაჩნდა ქრისტიანული ქვეყნების თვალში კეთილგანწყობა მოეპოვებინა. ირანის შაჰი ქრისტიანთა შემწყნარებლობას მანამდე გააგრძელებდა, სანამ ის დარწმუნდებოდა, რომ მოსკოვის სახელმწიფოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დაუხმარებლად შეძლებდა იმის მიღებას, რასაც ოსმალეთისაგან მოითხოვდა, კერძოპდ 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულების პირობების აღდგენას.

სწორედ ასეთ ვითარებაში 1594 წელს შაჰ აბასმა მოსკოვში თავისი შიკრიკი ჰადი ბეგი გააგზავნა, რომელიც რუსთა დედაქალაქში 1595 წლის 18 თებერვალს ჩავიდა. ირანის შაჰმა ელჩის პირით რუსთა ხელმწიფეს ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი შესთავაზა.[50]

ამის შემდეგ, შაჰ აბასმა ზვნიგოროდსკის ელჩობის საპასუხოდ, მოსკოვში თავის ელჩობა გააგზავნა ფაქიზე იმამ ყული ხანის მეთაურობით (1596-1597). ზვენიგოროდსკის მოხსენებაში წერილობით აქვს აღნიშნული, რომ შაჰმა მას 1595 წლის 6 აპრილს აუწყა ირანელთა ელჩობის მოსკოვში გაგზავნის შესახებ, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ელჩობა მოსკოვში ერთი წლის დაგვიანებით ჩავიდა. [51] ჩანს,

---

[48] გაბაშვილი. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“: 44.

[49] გელაშვილი. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 193-194.

[50] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 321.. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 212.

[51] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 267, 274..

ირანის შაჰი ხსენებულ ელჩობას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ჩვენი მოსაზრებით, ეს ქმედება იყო რუსთა მხრიდან ირანში ელჩობის დაგვიანების პასუხი, რომელსაც შაჰ აბასი 1590 წლიდან ელოდა სამი წლის განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ იმამ ყული ხანის ელჩობას მოსკოვის სახელმწიფოს მხრიდან მალევე საპასუხო ელჩობა მოჰყვა. 1597 წლის გაზაფხულზე ირანში გაიგზავნა მეფე თევდორეს ელჩობა თავად ვასილი ვასილის ძე ტიუფიაკინისა და სემიონ ემელიანოვის მეთაურობით. ელჩობა გამიზნული იყო იმისათვის, რომ შაჰ აბასისთვის ეცნობებინათ თევდორე მეფის წინადადება, დაეწყოთ ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს ერთობლივი ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ელჩობა ჩაიშალა, რადგან ტიუფიაკინიც და ემელიანოვიც გზაში გარდაიცვალნენ, ხოლო უმეთაუროდ დარჩენილი საელჩოს დანარჩენი წევრები, რომლებსაც უფლებამოსილება არ გააჩნდათ ირანის შაჰთან ეწარმოებინათ მოლაპარაკებები, 1599 წელს უკან გაბრუნდნენ.[52]

მიუხედავად ამისა, სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკურ წრეებში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსთა მეფის კარზე ახალი ელჩობა გაეგზავნათ. არჩევანი ისევ ჰადი ბეგზე (ანდი ბეგზე) შეაჩერეს, რომელიც მანამდე, სხვადასხვა რანგში, რამდენჯერმე იყო მივლინებული მოსალაპარაკებლად მოსკოვის სახელმწიფოში. ეს ელჩობა (1597-1601) 1597 წლის შუა ნახევარში გაემგზავრა მოსკოვის მიმართულებით. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჰადი ბეგის ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. მოსკოვის სახელმწიფოს კარზე მას იცნობდნენ, როგორც ცნობილ ავანტიურისტს, რომელიც არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლებას. ამის გამო, მოსკოვში ეს ელჩობა არაოფიციალურად სცნეს და არ გაუწიეს სათანადო მიღების პატივი. ირანელი და გილანელი ვაჭრებიდან გამოირკვა, რომ ჰადი ბეგი შაჰს შეერისხა და ირანიდან გაეძევებინა. რუსი პოლიტიკოსებისთვის ნათელი გახდა, რომ ჰადი ბეგი შამხალის მოგზავნილი იყო. ის დააკავეს და გადაწყვიტეს, ირანის ელჩის ჩამოსვლისათვის დაეცადათ. [53]

ამის შემდეგ, ირანის შაჰის მხრიდან მოსკოვში გაიგზავნა ელჩობა ფერ ყული ბეგის მეთაურობით (1599-1601). რა მიზნით იყო ეს ელჩობა რუსთა ქვეყანაში გაგზავნილი და იქ რა მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, სამწუხაროდ, ამ ელჩობის შესახებ ბევრი ცნობა არ არის დაცული. ცნობილია, რომ ამ ელჩს ბორის გოდუნოვისათვის (1598-1605) გამეფება უნდა მიელოცა, რომელიც მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ავიდა 1598 წელს გარდაცვლილი მეფე თევდორეს ნაცვლად. ასევე, ელჩობას ევალებოდა მოსკოვის სახელმწიფოსთან სავაჭრო საქმეების მოგვარება. ისტორიკოსი ბუშევი ვარაუდობს, რომ ყული ბეგის ელჩობამ მოსკოვის სახელმწიფოსთან დადო კავშირი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, რადგან 1600 წელს ირანში საპასუხო ელჩობა გაიგზავნა, რომელსაც ალექსანდრე თევდორეს ძე ჟიროვ-ზასეკინი და თემირ ზასეცკი მეთაურობდნენ.[54] აქვე უნდა

[52] იქვე, 276, 318-319.

[53] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 321, 334-335; ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 194.

[54] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 336, 357; ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 195.

აღინიშნოს, პ. პ. ბუშევის ნაშრომის მონაცემებით, წინა ელჩობის მსგავსად, ეს ელჩობაც უშედეგოდ დასრულდა, რადგან გაურკვეველი მიზეზების გამო, ის ასტრახანიდან უკან გააბრუნეს. ამ ისტორიკოსის მოსაზრებით, ამის მიზეზი, შესაძლოა, ყოფილიყო მოსკოვში დაწყებული დიდი შიმშილობა ან მეფე ბორის გოდუნოვის განაწყენება ავსტრიელებთან მოლაპარაკებისას ანტიოსმალურ კავშირზე.[55] ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა მონაცემები. კერძოდ, მკვლევარ-ისტორიკოს თამარ ტივაძის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ ა. თ. ჟიროვ-ზასეკინის ელჩობა ჩავიდა ირანში, სადაც დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ირანის შაჰს, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა მოსკოვის სახელმწიფოს კეთილგანწყობა ესაჭიროებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, მათ შორის ხელშეკრულების გაფორმება ვერც ამ ელჩობამ შეძლო და 1603 წელს (და არა 1601 წელს, როგორც ბუშევის ნაშრომშია) მოსკოვში დაბრუნდა.[56] აგრეთვე, მკვლევარ-ისტორიკოს ინესა მაგილინას, თავის ნაშრომში, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად აქვს გადმოცემული, რომ ჟიროვ-ზასეკინისა და ზასეცკის ელჩობამ ჩააღწია ირანამდე და იქ შეხვდა შაჰ აბასს. ამ ელჩობის მთავარი მიზანი მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის ხელშეკრულების გაფორმება იყო მათ შორის მოლაპარაკებები კი გაიმართა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ქვეყნებს შორის ხელშეკრულება არ დადებულა. ეს ელჩობა უკან 1603 წელს დაბრუნდა.[57]

1603 წელს სეფიანთა ირანმა, სათანადო მომზადების შემდეგ, ომი განაახლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, სეფიანთა სახელმწიფოში მიიღეს გადაწყვეტილება კვლავ გაეგზავნათ ელჩობა მოსკოვში, ამჯერად, ლაჩინ ბეგის მეთაურობით (1604-1605). ცნობილია, რომ ლაჩინ ბეგის ელჩობას მოსკოვში არნახული შეხვედრა მოუწყვეს. ეს ელჩობა 1603 წლის 28 აგვისტოს ჩავიდა მოსკოვში და სექტემბრის პირველ რიცხვებში წარუდგა მეფე ბორის გოდუნოვს აუდიენციაზე. ირანის ელჩის მიერ ჩამოტანილ მდიდრულ საჩუქრებს შორის ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო პატიოსანი თვლებით მოოჭვილმა სავარძელმა, რომელიც ირანის შაჰების დასაჯდომს წარმოადგენდა. რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, მკვლევარ-ისტორიკოს თამარ ტივაძის მოსაზრებით, მოსკოვში პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად იქნა მიჩნეული ამ სავარძლის ჩამოტანა და ამიტომ დაეთმო რუსულ წყაროებში მას განსაკუთრებული ადგილი.[58] უნდა ითქვას, რომ ამ ელჩობის მიზნის ან ბოიართა სათათბიროში ელჩებთან წარმოებული მოლაპარაკებების შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები არ არის შემონახული. შესაძლოა, ლაჩინ ბეგი მოსკოვში სამხედრო დახმარების სათხოვნელად იყო ჩასული, რადგან ზემოთ ნახსენები ომი ახალი დაწყებული იყო.

რაც შეეხება ქართველ მეფეებს, ისინი ქვეყნის გამოხნა-გადარჩენისათვის სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. სიმონ მეფე სავალდებულოდ არ თვლიდა 1590 წლის პირობების მიღებას და დამპყრობლებისათვის ქედის მოხრას.

---

[55] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 358, 377-378

[56] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 196.

[57] Инесса В. Магилина, Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году (реконструкция по материалам посольства кн. А. Ф. Жирово-Засекина), Вестник ВолГУ, Серия 4. № 1 (13) (2008): 145-152.

[58] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 196.

ოსმალო აგრესორები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ და ქრისტიანი სიმონი ქართლის მეფედ ეცნოთ. მაგრამ ეს დროებითი შერიგება იყო. სიმონ მეფემ 1598 წელს ოსმალეთთან ომი განაახლა. კახეთის მეფე ალექსანდრემ კი ოსმალებს ხარკი შეუწყვიტა. 1599 წელს სიმონ მეფემ ქალაქი გორი გაათავისუფლა, მაგრამ შემდეგი ბრძოლების დროს ის ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალებს. 1600 წლის 21 ივნისს სიმონ მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედიყულეს ციხეში ჩასვეს. მისი საქმეები გააგრძელა მისმა მემკვიდრე მეფე გიორგი X-მ (1600-1605), რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ ქართლის ბრძოლას ხელმძღვანელობდა. [59] კახეთის მეფე ალექსანდრე II კვლავ მოსკოვის სახელმწიფოზე ამყარებდა იმედებს და რუსთა დედაქალაქში ხშირად თავის ელჩებს აგზავნიდა. თუმცა, მოსკოვის სახელმწიფოს ცდები - იარაღით შეენარჩუნებინა თავისი პოლიტიკური პოზიცია კავკასიაში, მარცხით დამთავრდა. ამას დაემატა მოსკოვის სახელმწიფოში დაწყებული შინააშლილობა, რითაც ისარგებლა ირანის შაჰმა და კახეთში სამეფო გადატრიალება მოახდინა. შაჰ აბასმა, რომელსაც ძლიერ აშფოთებდა კახეთის სამეფოს დაახლოება მოსკოვთან, ისე მოაწყო, რომ ალექსანდრე მეფე (უფლისწულ გიორგისთან ერთად) თავისივე შვილს, კონსტანტინე ბატონიშვილს მოაკვლევინა 1605 წლის 12 მარტს ძეგამის სასახლეში.[60] კახეთში კონსტანტინე გამეფდა (1605). მალე კახელები აჯანყდნენ კონსტანტინეს წინააღმდეგ, რომელიც იმავე წელს მოკლეს. პოლიტიკურმა გარემოებამ აიძულა ირანის მბრძანებელი დათმობაზე წასულიყო და კახეთში თეიმურაზ I (1606-1648 კახეთის მეფე, 1625-1632 ქართლის მეფე) და ქართლში ლუარსაბ II (1606-1615) მეფეებად დაემტკიცებინა. [61]

უნდა აღინიშნოს, რომ 1604-1606 წლებში სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის ელჩების მიმოსვლა დროებით შეწყდა, თუმცა შემდეგ მალევე განახლდა. ასე რომ, XVII საუკუნეშიც კვლავ გრძელდებოდა მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები, სადაც საქართველოს საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა - References

1. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. დონდუა, ვარლამ. დუმბაძე, მამია. მელიქიშვილი, გიორგი. მესხია, შოთა. რატიანი, პროკოფი. *საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე)*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1958.
2. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვეთი I (1944): 9-169.

[59] ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I, 285-286; მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 243; სვანიძე. საქართველოს-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 226-227.

[60] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“: 143-144; ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I, 290; მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 250.

[61] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“: 155-157; ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I, 290; მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 252-253.

3. გაბაშვილი, ვალერიან. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.)“. *ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები*, სტატიების კრებული, ტ. I (2016): 21-67.
4. გელაშვილი, ნანა. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან,* (XVI ს.). თბილისი: „მეცნიერება“, 1995.
5. დემეტრაშვილი კახაბერ. „ბაქოსა და დარუბანდის საკითხი ირან-რუსეთის ურთიერთობაში“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* XI (2018): 237-254.
6. დუმბაძე მამია (რედაქტორი). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტომი IV (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.
7. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი: „მეცნიერება“, 1964.
8. კაციტაძე, დავით. *ირანის ისტორია.* III-XVIII საუკუნეები. თბილისი: ჰოროსი XXI, 2009.
9. კუცია, კარლო. *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს.* თბილისი: „მეცნიერება“, 1976.
10. სვანიძე, მიხეილ. *თურქეთის ისტორია (1299-2000).* თბილისი: „არტანუჯი“, 2007.
11. სვანიძე, მიხეილ. *ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.).* თბილისი: „არტანუჯი“, 1999.
12. სვანიძე, მიხეილ. *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს.* თბილისი: „მეცნიერება“, 1971.
13. სვანიძე, მიხეილ, შარუმაშვილი, რუსუდან. ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა 1578-1579 წლებში. *პერსპექტივა-XXI.* №IX (2) (2008): 224-239.
14. ტივაძე, თამარ. „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“. *თსუ-ს შრომები.* 113. ისტორიულ მეცნიერებათა სერია V (1965): 175-216.
15. ცინცაძე, იასე. *რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968.
16. *Английские путешественники в Московском государстве в XVI веке,* Ответственный редактор Рубинштеин, Н. Л. Технический редактор Прохорова, О. С. Перевод с английского Готье, Ю. В. Введение Новицкого, Г., Ленинград: Типография ОГИЗа РСФСР треста «Полиграфкнига» «Печатный Двор» им. А. М. Горького, 1937.
17. Андреев, Артем Алексеевич. Писчурникова, Екатерина Павловна. Костиков, Сергей Евгеньевич «Несостоявшийся союз: Российско-Иранские отношения накануне смутного времени в Иранской и Российской историографии», *Новое прошлое, The New Past,* №3 (2020): 84-100.
18. Броневский, Семен Михайлович. *Историческия выписки о сношениях России с Персиею, Грузиею и вообще с горскими народами, в Кавказе обитающими, со времен Ивана Васильевича доныне.* Подготовка текста к изданию,

предисловие, примечания, словарь малоизвестных слов, указатели. Павловой И. К. Санкт-Петербург: РАН. Санкт-Петербургское Востоковедение, 1996.
19. Бушев, Петр Павлович. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг.* Москва, Издательство «Наука», 1976.
20. Бушев, Петр Павлович. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг.* Москва, Издательство «Наука», 1987.
21. Иванов, Михаил Сергеевич. (Ответственный Редактор). *История Ирана.* Москва: Издательство МГУ, 1977.
22. Иванов, Михаил Сергеевич. *Очерк истории Ирана.* Москва: Издательство «Госполитиздат», 1952.
23. Кушева, Екатерина Николаевна. *Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.* Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963.
24. Магилина Инесса Владимировна. Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году (реконструкция по материалам посольства кн. А. Ф. Жирово-Засекина), Вестник ВолГУ. Серия 4. № 1 (13) (2008): 145-155.
25. Полиевктов, Михаил Александрович. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тифлис: Напечатано по распоряжению Академии Наук СССР, 1935.
26. Смирнов, Николай Александрович. Россия и Турция в XVI-XVII вв. т. 1. *Ученые записки МГУ*, выпуск 94. Москва: Издательство МГУ, 1946.
27. Тихомиров, Михаил Николаевич. *Российское государство XV-XVII веков.* Москва: Издательство «Наука», 1973.
28. Фехнер, Мария Васильевна. *Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке.* Москва: Издательство «Госкультпросветиздат», 1956.
29. Эфендиев, Октай Абдулкерим оглы. *Азербаиджанское государство Сефевидов в XVI веке.* Баку: Издательство «ЭЛМ», 1981.